შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“
„KUTAISI AUTOMOTIVE PLANT“ LTD

№ 01-11/___233____ «__25__» _____12____, 2018 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოგიდგენთ შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-ს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების, კერძოდ: საჩამომსხმელო საამქროში ინდუქციური ღუმელის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტთან დაკავშირებულ საქმიანობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კანონით დადგენილ დოკუმენტაციას. ამასთან მოგახსენებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობას გავლილი აქვს სკოპინგის (2018 წლის 26 ნოემბრის დასკვნა №45) პროცედურა.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაძლებლობის შემთხვევაში შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-ს სახელზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.
წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);
2. დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში -1ეგზემპლარი (ნაბეჭდი) და ელ. ვერსია;
3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით);
4. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 3 ეგზემპლარი;
5. გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“-ს რეგისტრაციის თაობაზე;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საწარმოს მიერ დასაკავებელი მიწის ნაკვეთის თაობაზე;
8. დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საწარმოს განთავსების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები GIS-ის სისტემაში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი _____ მამული სულაძე

№ 184
09 01 2019

✉: 4600, საქართველო, ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №88; * #88, Avtomshenebeli st., Kutaisi, Georgia, 4600
☎/FAX:(0-431) 266-200, ☎:(995-32) 221-02-78, FAX:(995-32) 221-02-80; E_mail: info@kamp.ge